ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პანდემიური ფაზების განმარტება და ძირითადი აქტივობები ფაზების მიხედვით

| ფაზა | აღწერა | ძირითადი ღონისძიებები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაგეგმარება და კოორდინაცია | მდგომარეობის მონიტორინგი და შეფასება | კომუნიკაცია | დაავადების გავრცელების შემცირება | ჯანმრთელობის დაცვის მარაგების მზადყოფნა |
| 1 | არ დაფიქსირებულა ცხოველებში გავრცელებული ვირუსით ადამიანების ინფიცირების შემთხვევა. | **შემუშავდეს**, **დაინერგოს**, და პერიოდულად განახლებულ იქნას გრიპის პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების **გეგმა**. | **შემუშავდეს** ეროვნული **ზედამხედველობის** ძლიერი სისტემები, ვეტერინარულ და სხვა შესაბამის სექტორებთან კოლაბორაციაში. | კომუნიკაციების დაგეგმვის **დასრულება**, და რეალურ ან პოტენციურ რისკებთან **საკომუნიკაციო** აქტივობების წამოწყება. | მოსახლეობაში, თავის დაცვისათვის **სასარგებლო ქცევების წახალისება**. ფარმაცევტული და ვაქცინების გამოყენების დაგეგმარება. | ჯანმრთელობის სისტემების **მომზადება მასშტაბების გასაზრდელად**. |
| 2 | დაფიქსირდა შინაურ ან გარეულ ცხოველებში ცხოველის ვირუსით ადამიანების ინფიცირების შემთხვევა. | | | | | |
| 3 | დაფიქსირდა ცხოველის ან ადამიანის და ცხოველის ვირუსით გამოწვეული ადამიანის დაავადების ცალკეული შემთხვევები ან მცირე კლასტერები, მაგრამ ამას არ გამოუწვევია ადამიანიდან ადამიანზე გადადები შემთხვევები საზოგადოებრივი აფეთქების მაშტაბით. | | | | | |
| 4 | დადასტურებულია ცხოველის ან ადამიანის და ცხოველის ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა, რომელსაც შეუძლია | WHO-სთან თანამშრომლობით, ინფექციის გავრცელებისა და შეყოვნებისათვის წარიმართოს და | **გაიზარდოს** ზედამხედველობა. გაცრცელების შეკავების სამუშაოების მონიტორინგი. | მოსახლეობისა და ინდივიდუალური რისკის პრევენციისა და შემცირებისათვის რეკომენდირებული **ჩარევების** | პანდემიური გავრცელების სწრაფი **შეკავებისა** და სხვა აქტივობების დანერგვა; | **გაუთვალისწინებელი გარემოებების** გეგმის აქტივაცია. |

შენიშვნა - აღნიშნული ინფორმაცია შემუშავებული იქნა გრიპის პანდემიის მზადყოფნისათვის. იმის გამო, რომ პრიპის მსგავსად, COVID-19 არის რესპირაციული დაავადება, მასაც ახასიათებს გრიპისმაგვარი გავრცელება. აქედან გამომდინარე, ჯანმოს მიერ რეკომენდირებულია, რომ ამ ეტაპისათვის, COVID-19-ის პანდემიისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას გრიპის პანდემიისათვის შემუშავებული სამოქმედო და მზადყოფნის გეგმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | “საზოგადოებრივი აფეთქების” გამოწვევა. | კოორდინირებულ იქნას პანდემიური გავრცელების სწრაფი **შეკავების** აქტივობები. | მონაცემების გაზიარება WHO-სა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის. | წახალისება და გავრცელება. | აუცილებელია თანამშრომლობა WHO-სა და სართაშორისო საზოგადოებასთან. | |
| 5 | დაფიქსირდა ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გავრცელება მინიმუმ ორ ქვეყანაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთი რეგიონის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების უმრავლესობას ამ ეტაპზე არ შეეხება პანდემია, 5-ე ფაზის დეკლარაცია მკვეთრად მიანიშნებს იმაზე, რომ პანდემია ახლოვდება და მცირე დროა დარჩენილი პანდემიის შემასუსტებელი ღონისძიებების ორგანიზაციის, კომუნიკაციის და განხორციელებისთვის. | **მულტისექტორული რესურსების მართვისა** და **კოორდინირების** უზრუნველყოფა სოციალური და ეკონომიკური ეფექტის შესუსტებისათვის. | ზრდადი პანდემიისა და პანდემიით გამოწვეული ეფექტებისა და შეკავების ღონისძიებების **აქტიური მონიტორინგი და შეფასება**. | გაგრძელდეს პანდემიის შესახებ **განახლებული ინფორმაციის მიწოდება** ზოგადი მოსახლეობისათვის და გაზიარდეს რისკის შემცირების ღონისძიებები. | ინდივიდუალური, საზოგადოებრივი, და ფარმაცევტული ღონისძიებების **დანერგვა**. | **დაინერგოს** გაუთვალისწინებელი გარემოებების გეგმა ყველა დონის სამედიცინო სისტემებისათვის. |
| 6 | პანდემიის ფაზა, რომელიც ხასიათდება, 5-ე ფაზაში განსაზღვრული კრიტერიუმების გარდა, საზოგადოებრივი აფეთქებებით მინიმუმ კიდევ ერთ ქვეყანაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის განსხვავებულ რეგიონში. ამ ფაზის გამოცხადება ნიშნავს | | | | | |

შენიშვნა - აღნიშნული ინფორმაცია შემუშავებული იქნა გრიპის პანდემიის მზადყოფნისათვის. იმის გამო, რომ გრიპის მსგავსად, COVID-19 არის რესპირაციული დაავადება, მასაც ახასიათებს გრიპისმაგვარი გავრცელება. აქედან გამომდინარე, ჯანმოს მიერ რეკომენდირებულია, რომ ამ ეტაპისათვის, COVID-19-ის პანდემიისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას გრიპის პანდემიისათვის შემუშავებული სამოქმედო და მზადყოფნის გეგმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გლობალური პანდემიის მოახლოებას. | | | | | |
| პიკის შემდგომი პერიოდი | პანდემიური დაავადების ხარისხი ადეკვატური ზედამხედველობის მქონე ქვეყნების უმრავლესობაში დაეცა პიკზე დაკვირვებული ხარისხის ქვემოთ. | შემდგომი, მოსალოდნელი ტალღებისათვის, დაიგეგმოს და კოორდინირებულ იქნას **დამატებითი რესურსები** და **შესაძლებლობები**. | მომდევნო ტალღების აღმოჩენისათვის **გაგრძელდეს** ზედამხედველობა. | **რეგულარულად განახლდეს** ინფორმაცია პანდემიის სტატუსის ცვლილების შესახებ საზოგადოებისათვის. | გაიდლაინების, პროტოკოლებისა და ალგორითმების განახლებისათვის მიღებული ღონისძიებების ეფექტურობის **შეფასება**. | **შეინახოს**, **შევსებულ** იქნას მარაგები, **გადაიხედოს** გეგმები, და აღდგენილ იქნას აუცილებელი სერვისები. |
| პანდემიის შემდგომი პერიოდი | ადექვატური ზედამხედველობის მქონე ქვეყნების უმეტესობაში, დაავადების აქტივობა უბრუნდება ნორმალურ დონეს. | **მიმოიხილოს** და გაზიარებულ იქნას მიღებული გამოცდილება საერთაშორისო საზოგადოებასთან. რესურსების **შევსება**. | პანდემიის მახასიათებლებისა და მდგომარეობის მონიტორინგისა და შეფასების ხელსაწყოების **შეფასება** შემდგომი პანდემიისათვის და სხვა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ექსტრემალური სიტუაციებისათვის. | საჯაროდ **აღიარებულ** იქნას საზოგადოების ყველა დონისა და სექტორის კონტრიბუცია, და განხილულ იქნას მიღებული გამოცდილება; მიღებული გამოცდილების **შეტანა** საკომუნიკაციო აქტივობებსა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შემდგომი მსხვილი კრიზისის დაგეგმარებისათვის. | ყველა დანერგილი ჩარევების **დეტალური შეფასების** ჩატარება. | ჯანმრთელობის სისტემის პანდემიაზე რეაგირების **შეფასება** და მიღებული გამოცდილების **გაზიარება**. |

შენიშვნა - აღნიშნული ინფორმაცია შემუშავებული იქნა გრიპის პანდემიის მზადყოფნისათვის. იმის გამო, რომ გრიპის მსგავსად, COVID-19 არის რესპირაციული დაავადება, მასაც ახასიათებს გრიპისმაგვარი გავრცელება. აქედან გამომდინარე, ჯანმოს მიერ რეკომენდირებულია, რომ ამ ეტაპისათვის, COVID-19-ის პანდემიისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას გრიპის პანდემიისათვის შემუშავებული სამოქმედო და მზადყოფნის გეგმა.